# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 60

2019წ. "19" 03

ქ. თბილისი

**შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადმიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №168 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადმიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №168 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე/საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვებ-ინტერფეისის დიზაინერი (1) | მესამე საფეხური | ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040166 | 63 | 78 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წეროწნის 208) |
| 2 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156 | 99 | 129 | ქართული | 40 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წეროწნის 208) |
| 3 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1) | მეხუთე საფეხური | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254 | 101 | 131 | ქართული | 40 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წეროწნის 208) |
| 4 | პრაქტიკოსი ექთანი (1) | მეხუთე საფეხური | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552 | 118 | 148 | ქართული | 60 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წეროწნის 208) |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში 041364 | 120 | 150 | ქართული | 50 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208) |
| 6 | ტუროპერატორი (1) | მეხუთე საფეხური | ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062 | 104 | 134 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208) |
| 7 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171 | 60 | 75 | ქართული | 50 | ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (ქ. თბილისი, წერონისის 208) |

*(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."*

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 19 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის ოქმის მეოცე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე